

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ. თელავი

2021 წლის 21 მაისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა
ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი,
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
უფროსი ტარიელ გალახვარიძე, თელავის
მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის
უფროსი გიორგი თავბერიძე.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავში, ლეონიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის ზურაბ კანდელაკისათვის პირდაპირი
განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე
თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს 1. ქ. თელავში, ლეონიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის ზურაბ კანდელაკისათვის პირდაპირი
განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის
თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: გიორგი ჩაბრაშვილმა აღნიშნა, რომ ზიპლაინის მარშრუტი გადის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების ზემოთ საჰაერო სივრცეში, აქედან გამომდინარე საჭიროა მათგან თანხმობის მიღება.


გიგა ორკოდაშვილმა გამოთქვა შენიშვნა, რომ აღნაგობის წლიური შეფასების გარეშე არ მოხდეს თანხმობის გაცემა.

ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება, რომ მერიამ მოახდინოს პროექტის მომზადება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად და ასევე ის შეათანხმოს მოსახლეობასთან.

გადაწყვიტეს: მერიამ მოახდინოს პროექტის - ქ. თელავში, ლეონიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ზურაბ კანდელაკისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, მომზადება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ: აუდიტორის მიერ შეფასებული იქნას აღნაგობის საგანი, ამასთან ერთად შესწავლილი იქნას მოსახლეობის აზრი და გარემოზე ზემოქმედების საკითხი.

აღნიშნული შენიშვნები გაეგზავნოს მერს შესწავლის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე:



ალექსანდრე შათირიშვილი